ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2807594

ნომერი: AR1434503

თარიღი : 23.08.2016

გაცემის თარიღი : 30.08.2016

გაცნობის თარიღი : 31.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე , ავტობაზრობის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , დიღომი-გლდანის შემაერთებელ გზაზე, შ.პ.ს. "გრანდი"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ, (ნაკვეთი N4/91) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი მაჭარაშვილი პ/ნ 01019058902
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 50 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა არ არის დატნაილი საკადასტრო გეგმაზე, შესაბამისად გაურკვეველია აღნიშნული შენობის კანონიერების საკითხი. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული შენობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი. გაითვალისწინეთ, რომ უკანონო შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე თანხმობას ვერ გასცემს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ ასევე გაითვალისწინეთ:

საჭიროა მოხდეს სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და საკადასტრო გეგმაზე ასახვა.

გარდა ამისა, ამონაწერიდან დგინდება რომ შპს გრანდის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი მოიჯარეა ლიბერთი ბანკი, კერძოდ 2470 კვ.მ. ფართის. წარმოდგენილი მინდობილობა გაცემულია მოქ. ოთარ ღარიბაშვილზე, ხოლო განმცხადებელია მოქ. დავითი მაჭარაშვილი. წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.